ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15

2015 წლის 6 თებერვალი

ქ. გორი

ქ.გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №9 დადგენილებაში „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №9 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 08/08/2014; 010250050.35.174.016009) დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

1. „მართვის ოპტიმიზაციისთვის, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი იყოფა თერთმეტ ადმინისტრაციულ ერთეულად, თითოეული ადმინისტრაციული ერთეული ქალაქ გორის დასახლების ნაწილია.

2. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:

ა) ცენტრალური დასახლების 1-ლი უბანი;

ბ) ცენტრალური დასახლების მე-2 უბანი;

გ) კომბინატის დასახლების 1-ლი უბანი;

დ) კომბინატის დასახლების მე-2 უბანი;

ე) ჭალა-წყაროსუბნის დასახლება;

ვ) სადგური-ელექტროფიკაციის დასახლება;

ზ) წმინდაწყლის 1-ლი უბანი;

თ) წმინდაწყლის (ვოლოგდის) მე-2 უბანი;

ი) ვერხვების დასახლება;

კ) კვერნაქის დასახლება;

ლ) დევნილთა ჩასახლება.

3. ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებით.“.

მუხლი 2

დგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **პაპუნა კობერიძე**